პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 7 (56) 1 ნოემბერი 1953 წელი

შინაარსი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

88. კანონი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ.
89. კანონი „ფუზაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება.
90. ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.
91. ამხ. მ. დ. ჩუბინიძის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.
92. ამხ. მ. კ. დელბას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.
93. ამხ. ა. მ. ჭოჭუას არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.
94. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ვ. მ. ბაქრაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება.
95. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება.
96. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება.
97. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება.
98. საქართველოს სსრ მინისტრების განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.
99. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და დადგენილებანი

100. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების" რედაქტორის შესახებ.
101. სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

102. ბრძანებულება ამხ. ვ. მ. ბაქრაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.
103. ბრძანებულება ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.
104. ბრძანებულება საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ.
105. ბრძანებულება საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ.
106. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ.
107. ბრძანებულება საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.
108. ბრძანებულება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი აითნის რაიონის გაუქმების შესახებ.
109. ბრძანებულება ამხ. მ. ი. ბარამიას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობისაგან.
110. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად.
111. ბრძანებულება ამხ. ვ. ი. ჭიაურელის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან.
112. ბრძანებულება ამხ. ა. ლ. ჯუნიას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად.
113. ბრძანებულება ამხ. რ. კ. წულუკიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან.
114. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრად.
115. ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. კეცხოველის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად.
116. ბრძანებულება ამხ. გ. ა. რობაქიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად.
117. ბრძანებულება ამხ. თ. ნ. დავითაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების ძინისტრად.
118. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.
119. ბრძანებულება ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.
120. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ალავიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად.
121. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარმოდგენილი მასალების ხარისხის შესახებ.
122. ბრძანებულება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის სახელწოდებათა შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 31 ივლისის ბრძანებულებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.
123. ბრძანებულება საქართველოს სსრ ქალუბორის რაიონის მაღაროს სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ.
124. ბრძანებულება საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ლაითურის და ურეკის სადაბო საბჭოების შექმნის შესახებ.
125. ბრძანებულება თბილისის სტალინის № 11 საარჩევნო ოლქში, თბილისის გარეუბნის კოჯრის № 58 საარჩევნო ოლქში, ბოლნისის რაიონის ბოლნისის № 116 საარჩევნო ოლქში დუშეთის რაიონის დუშეთის № 130 საარჩევნო ოლქში, ლანჩხუთის რაიონის სუფსის № 248 საარჩევნო ოლქში, ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის ლენინის № 268 საარჩევნო ოლქში, ქ. ბათუმის № 325 საარჩევნო ოლქში და ბათუმის რაიონის აჭარისწყლის № 331 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონები და დადგენილებანი

88. კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 22 სექტემბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ“.

ამ ბრძანებულებათა შესაბამისად შეტანილ იქნას სათანადო ცვლილება და დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50, 55 და 56 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები:

ადგილობრივი მრეწველობისა;

განათლებისა;

ვაჭრობისა;

თავდაცვისა;

იუსტიციისა;

კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

კულტურისა;

საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილებისა;

საბჭოთა მეურნეობებისა;

საგარეო საქმეთა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასურსათო საქონლის მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობის და დამზადებათა;
სოციალური უზრუნველყოფისა;
ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე".

„**მუხლი 55**. საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:
ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
იუსტიციისა;
კულტურისა;
საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილებისა;
საბჭოთა მეურნეობებისა;
საგარეო საქმეთა;
სასურსათო საქონლის მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სოფლის მეურნეობის და დამზადებათა;
ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლისა;
ფინანსთა;
შინაგან საქმეთა;
ჯანმრთელობის დაცვისა".

„**მუხლი 56**. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:
ადგილობრივი მრეწველობისა;
განათლებისა;
კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;
სოციალური უზრუნველყოფისა".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლიგიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

89. კ ა ნ ო ნ ი

„აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 24 სექტემბრის ბრძანებულება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ“.

ამ ბრძანებულების შესაბამისად შეტანილ იქნას ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 20 მუხლში და ეს მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„**მუხლი 20.** აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შესდგება გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების: სოხუმისა და ტყვარჩელისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

90. ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

91. ამხ. მ. დ. ჩუბინიძის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას ამხ. მირონ დიმიტრის-ძე ჩუბინიძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

92. ამხ. მ. კ. დელბას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ კონსტანტინეს-ძე დელბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

93. ამხ. ა. მ. ჭოჭუას არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

არჩეულ იქნას ამხ. ანდრია მაქსიმეს-ძე ჭოჭუა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

94. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ვ. მ. ბაქრაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულება, რომლითაც ამხ. ვ. მ. ბაქრაძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წლის 29 ოქტომბერი.

95. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 21 სექტემბრის ბრძანებულება, რომლითაც ამხ. გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

96. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მინისტრი ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

97. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულება, რომლითაც საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე დანიშნულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

98. საქართველოს სსრ მინისტრების განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც განთავისუფლებული არიან:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობისაგან—ბარამია მიხეილ ივანეს-ძე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან—ჭიაურელი ვლადიმერ ივანეს-ძე;

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან—წულუკიძე როსტომ კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

99. საქართველოს სსრ მინისტრების დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებითაც დანიშნული არიან:

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრად—თოფურიძე მიხეილ ესტატეს-ძე;

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად—გიორგაძე მიხეილ პორფილეს-ძე;

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად—გუნია ავთანდილ ლევანის-ძე;

საქართველოს სსრ განათლების მინისტრად—ჯიბლაძე გიორგი ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად—კეცხოველი ზაქარია ნიკოლოზის-ძე;

საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად—რობაქიძე გიორგი აბესალომის-ძე;

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მინისტრად—დავითაშვილი თეიმურაზ ნიკოლოზის ძე;

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად—ალავიძე გიორგი არტემის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 29 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებანი და დადგენილებანი

100. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. განთავისუფლდეს ამხ. ჯავახიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორის მოვალეობისაგან.

2. დამტკიცდეს ამხ. ქვლივიძე თამარ ნიკოლოზის ასული „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებების“ რედაქტორად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივნის მაგიერ **ი. მოსაშვილი.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 16 სექტემბერი.

101. სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობაზე

მოისმინა რა სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ზ. ბიძინაშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების ინსტრუქტორის ა. ჯულუხიძის თანამოხსენება სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების მუშაობაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის საქმეში აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი:

რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არასაკმაო დახმარებას უწევს ადგილობრივ საბჭოებს მუშაობაში, რის შედეგად ზოგიერთი საბჭო ღრმად არ სწვდება მის ტერიტორიაზე არსებულ კოლმეურნეობებისა და საწარმოების ცხოვრებას, სისტემატურად არ ატარებს მათთან მასიურ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას. სიღნაღის საქალაქო საბჭო, ვაქირის, ულიანოვკის და ნუკრიანის სასოფლო და წნორის სადაბო საბჭოები არ იცავენ სესიების მოწვევის საქართველოს სსრ კონსტიტუციით დადგენილ ვადებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების მუშაობაში ნაკლებად არიან ჩაბმულნი დეპუტატები. მათ არ ეუბვათ საჭირო დახმარება თავიანთ მოვალეობათა შესრულების საქმეში, არ სწარმოებს დეპუტატების მიერ ანგარიშების ჩაბარება ამომრჩევლებთან; არ არის გამოყენებული მუშაობის გასაუმჯობესებლად კრიტიკა და თვითკრიტიკა; მუდმივი კომისიები იშვიათად იწვევენ სხდომებს; არ არის მუდმივ კომისიებში მიზიდული ადგილობრივი აქტივი; არ ექცევა სათანადო ყურადღება მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვას; მაღაროს სასოფლო და წნორის სადაბო საბჭოებში არ სწარმოებს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების აღრიცხვა და პასუხების გაცემა. რაიონული საბჭოს აღმასკომი იშვიათად ამოწმებს სასოფლო და სადაბო საბჭოების მუშაობას — დღიდან არჩევნებისა შემოწმებული და მოსმენილი აქვს აღმასკომის სხდომაზე მხოლოდ წნორის სადაბო საბჭოს მუშაობის შესახებ; სუსტია კონტროლი საბჭოების გადაწყვეტილებათა და ზემდგომ ორგანოებიდან მიღებულ დადგენილებათა შესრულების საქმეში; რაიონული საბჭოს აღმასკომი არ ხელმძღვანელობს სასოფლო კრებების მოწვევას და კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას; მოსახლეობის მიერ თვითდაბეგვრით დაგროვილი თანხები გამოუყენებელია და დასახული ღონისძიებანი შეუსრულებელია; ადგილი აქვს საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ კანონის საწინააღმდეგო დადგენილებების მიღებას და მუდმივი კომისიების ხელმძღვანელობის საქმეში დებულების დარღვევას; ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების აღზრდის საქმეს; არ ზრუნავენ ზემდგომ ორგანოების დადგენილებათა კრებულებით და საჭირო ლიტერატურით საბჭოების მომარაგებისათვის; „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ არ მოიპოვება საბჭოებში; რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და „საქშვგნის“ განყოფილება არ ღებულობენ ზომებს „უწყებების“ საბჭოებში გასავრცელებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. ზ. ბიძინაშვილი) გააძლიეროს ხელმძღვანელობა რაიონის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც:

ა) უზრუნველყოს საქართველოს სსრ კონსტიტუციით დადგენილ ვადებში საბჭოების სესიების მოწვევა და მათი მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე გატარება;

ბ) ჩაებას დეპუტატები ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში; მიაღწიოს მათ აქტიურ მონაწილეობას საბჭოების სესიებზე განსახილველ საკითხთა მომზადებაში; დახმარება გაუწიოს დეპუტატებს თავიანთ მოვალეობათა შესრულების საქმეში და მოაწყოს მათი ანგარიშგება ამომრჩევლების წინაშე;

გ) აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება საბჭოების მუდმივ კომისიებს აღმასკომების სამუშაო გეგმებიდან გამომდინარე ღონისძიებათა შესასრულებლად;

დ) საბჭოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა დროულად აღმოსაფხვრელად და საბჭოების მუშაკთა პასუხისმგებლობის გაზრდის მიზნით უზრუნველყოს მათი ანგარიშების მოსმენა საბჭოების სესიებზე;

ე) სისტემატურად ჩაატაროს საბჭოების აღმასკომების მუშაკებისათვის საინსტრუქტაჟო თათბირები, სემინარები, ლექციები და მოხსენებები საბჭოთა მშენებლობისა და საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე;

ვ) მიიღოს სათანადო ზომები, რათა რაიონის ადგილობრივ საბჭოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროულად და ხარისხიანად ხდებოდეს სესიებისა და აღმასკომების სხდომების ოქმების გაფორმება;

ზ) მოაწესრიგოს საბჭოებში შემოსულ მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების ზუსტი აღრიცხვა, მათი დროულად განხილვა და პასუხის გაცემა; გამოიყენოს მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესწავლა-განხილვის საქმეში საბჭოს დეპუტატები;

თ) ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს საბჭოებს სამეურნეო ღონისძიებათა გატარებისა და დამზადებათა გეგმების შესრულების საქმეში.

2. დაევალოს სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. ზ. ბიძინაშვილი) წარმოადგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1953 წლის 1 დეკემბრისათვის მოხსენება ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ცხოვრებაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 21 სექტემბერი.

102. ბრძანებულება ამხ. ვ. მ. ბაქრაძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 21 სექტემბერი.

103. ბრძანებულება ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ

დაინიშნოს ამხ. გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 21 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

104. ბრძანებულება საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ

1. „სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს ხორცის, რძისა და კვების მრეწველობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ბაზაზე.

2. საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს გადაეცეს ხორცის, რძის, ერბო-კარაქის, ყველის, შაქრის, პურის ცხობის, მაკარონის, საკონდიტრო, ზეთცხიმეულის, სპირტისა და არაყის, მეღვინეობის, ლუდის, ჩაის, თამბაქოს და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 22 სექტემბერი.

105. ბრძანებულება საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ

1. „სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებისა და ორგანიზაციების ბაზაზე.

2. საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს გადაეცეს ბამბეულის, შალეულის, აბრეშუმის, ტყავეულის, ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის, სამკერვალო და მინის მრეწველობის დარგების საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 22 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

106. ბრძანებულება საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ

1. „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 1 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად, შეიქმნას საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

2. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს გადაეცეს საბჭოთა მეურნეობები, ცხენსაშენი და სხვა საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 22 სექტემბერი.

107. ბრძანებულება საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს გარდაქმნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ

1. „სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროს შექმნის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტრო გარდაიქმნას საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ.

2. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების სამინისტროს გადაეცეს საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით.

3. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50, 55 და 56 მუხლების სათანადო ცვლილების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 22 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

108. ბრძანებულება აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ახალი ათონის რაიონის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგინება, გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ ახალი ათონის რაიონი და შეუერთდეს მისი ტერიტორია არსებული საზღვრებით აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონს.

2. ეს ბრძანებულება წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

109. ბრძანებულება ამხ. მ. ი. ბარამიას განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

110. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად

დაინიშნოს ამხ. მიხეილ პორფილეს-ძე გიორგაძე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

111. ბრძანებულება ამხ. ვ. ი. ჭიაურელის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ ივანეს-ძე ჭიაურელი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

112. ბრძანებულება ამხ. ა. ლ. გუნიას დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ავთანდილ ლევანის-ძე გუნია საქართველოს სსრ კულტურის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

113. ბრძანებულება ამხ. რ. კ. წულუკიძის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან

განთავისუფლდეს ამხ. როსტომ კონსტანტინეს-ძე წულუკიძე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

114. ბრძანებულება ამხ. გ. ნ. ჯიბლაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ განათლების მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გიორგი ნიკოლოზის-ძე ჯიბლაძე საქართველოს სსრ განათლების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

115. ბრძანებულება ამხ. ზ. ნ. კეცხოველის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრად და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

116. ბრძანებულება ამხ. გ. ა. რობაქიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გიორგი აბესალომის-ძე რობაქიძე საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 24 სექტემბერი.

117. ბრძანებულება ამხ. თ. ნ. დავითაშვილის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მინისტრად

დაინიშნოს ამხ. თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე დავითაშვილი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და გზატკეცილების მინისტრად და განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ საგზაო და სატრანსპორტო მეურნეობის მინისტრის თანამდებობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი
1953 წ. 26 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

118. ბრძანებულება ამხ. მ. პ. გიორგაძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ

დაინიშნოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი ამხ. მიხეილ პორფილეს ძე გიორგაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 1 ოქტომბერი.

119. ბრძანებულება ამხ. კ. ს. ციმაკურიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ

დაინიშნოს საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი ამხ. კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 1 ოქტომბერი.

120. ბრძანებულება ამხ. გ. ა. ალავიძის დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად

დაინიშნოს ამხ. გიორგი არტემის-ძე ალავიძე საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მ. ჩუბინიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 1 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

121. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომების მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარმოდგენილი მასალების ხარისხის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების, „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოებისა და ამ ორდენებისა და მედლების ჩაბარების საქმეში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული.

1945 წლიდან დღემდე საქართველოში „გმირი დედის“ საპატიო წოდება მინიჭებული აქვს 805 მრავალშვილიან დედას. „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლის“ მედლებით დაჯილდოებულია 66.966 მრავალშვილიანი დედა.

ამასთანავე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ზოგიერთ მუშაკთა უპასუხისმგებლო და დაუდევარი მუშაობის შედეგად მრავალშვილიანი დედების გამოვლინების, მათი დროულად ჯილდოზე წარდგენისა და საჭირო დოკუმენტების ხარისხიანათ გაფორმების საქმე რიგ რაიონში არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ზოგიერთი მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომი სასოფლო საბჭოების მიერ მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობებს დაგვიანებით იხილავს. ასე მაგალითად: თეთრიწყაროს რაიონში 23 მრავალშვილიანი დედის ჯილდოზე წარსადგენი მასალები სასოფლო საბჭოს მიერ განხილული იყო 1952 წლის 27 აპრილს; მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილება გამოიტანა 1952 წლის 28 დეკემბერს, ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გამოგზავნილია 1953 წლის 27 მაისს. გარდაბნის რაიონის სასოფლო საბჭოს მიერ 1951 წ. დეკემბრის თვეში განხილული მრავალშვილიან დედის ჯილდოზე წარდგენის საქმე მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებულია 1952 წლის 5 მარტს, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გამოგზავნილია 1953 წლის 18 სექტემბერს. მსგავს მდგომარეობას ადგილი აქვს ბოლნისისა და სხვა რაიონებში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომების მიერ არ ხდება მათთან წარდგენილ დასაჯილდოებელ მრავალშვილიან დედათა მასალების სათანადო განხილვა, რის შედეგადაც აღნიშნულ მასალებში დაშვებულია შეცდომები. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მიმდინარე წელს წარმოდგენილ 2.137 დასაჯილდოებელ მრავალშვილიან დედის საქმიდან მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომებს უკან დაუბრუნდათ 483 საქმე, მათ შორის: აბაშის რაიონს — 63, ვანის — 53, საგარეჯოს — 53, გარდაბნის — 52, ახალქალაქის — 28, თეთრიწყაროს — 25, ტყიბულის — 20, ზესტაფონის — 18, დმანისის — 18, ბოლნისის — 17, ბოგდანოვკის — 14 და ა. შ.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საქართველოს სსრ უმაღლესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს პრეზიდიუმში წარმოდგენილ საქმეებში არ არის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ან მდივნის ხელისმოწერა, და არ არის დასმული ბეჭედი, არაა დაზუსტებული დასაჯილდოებელი დედის გვარი, სახელი და მამის სახელი, ზოგჯერ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის დადგენილება მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების შესახებ არ შეესაბამება წარმოდგენილ მასალებში ნაჩვენებ ჯილდოს ხარისხს (ბოლნისის, გარდაბნის, ვანის, ამბაშის, ახმეტის, ახალქალაქის, წულუკიძის, დუშეთის, ლენტეხის, ახალციხის, წალკის, ამბროლაურის, ზესტაფონის, ტყიბულის, ზუგდიდის, კასპის, კაჭრეთის, ქუთაისის, ყვარლის, თეთრიწყაროს, ხაშურის, თერჯოლის, საგარეჯოს, ცაგერის, მარნეულის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქ. თბილისის ლენინისა, კალინინის სახელობის და გარეუბნის რაიონები).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში წარმოდგენილ საქმეებს ზოგჯერ არა აქვს დართული სათანადო ცნობები: ცალკე მცხოვრებ შვილებზე მათი საცხოვრებელი ადგილებიდან და სამხედრო პირთათვის სამხედრო ნაწილებიდან, დედების და შვილების შორის გვართა სხვაობის და ტყუპი შვილებისა (ბოლნისის, გარდაბნის, ახმეტის, ბორჯომის, დმანისის, კაჭრეთის, ლაგოდეხის, ცხაკაიას, ამბაშის, ადიგენის, ვანის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, სამტრედიის, ყვარლის, წულუკიძის, წალკის, ხაშურის, ახალქალაქის, ზნაურის და ქალაქ თბილისის ლენინის და სტალინის სახელობის რაიონები).

რიგ შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომები ადგენენ დასაჯილდოებლად ერთი და იგივე დედას ერთდროულად ორ ჯილდოზე (ლაგოდეხის, ქუთაისის და სხვა რაიონები), ხოლო ზოგჯერ ისეთ დედებს, რომელთა უკანასკნელ შვილებს ჯერ არ შესრულებიათ ერთი წელი (ამბაშის, ზესტაფონის, ზნაურის, ცაგერის, ქუთაისის, რაიონები). გორის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა განმეორებით წარმოადგინა მრავალშვილიანი დედა „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად, როგორც 11-შვილიანი, რაც მოწმობს იმას, რომ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომის ზოგიერთი მუშაკი არ იცნობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს 1951 წლის 24 იანვრის ინსტრუქციას მრავალშვილიან დედების ჯილდოზე წარდგენის წესის შესახებ.

აღსანიშნავია აგრეთვე ის მდგომარეობა, რომ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მრავალშვილიანი დედებისათვის ორდენებისა და მედლების დროულად ჩაბარებას, ჯილდოების ჩაბარების ოქმების ხარისხიანად შედგენას და მათი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში დაუგვიანებლათ გადმოგზავნის საკითხს (სიღნაღის, ლენტეხის, მცხეთის, ზუგდიდის, საგარეჯოს, ქუთაისის და სხვა რაიონები).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ს:

დაევალოს სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მრავალშვილიანი დედების ჯილდოზე წარდგენის საქმისადმი და უზრუნველყონ, რათა მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტებმა და აღმას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომებთან არსებულ მრავალშვილიანი და მარტოხელა დედათა სახელმწიფო დახმარების განყოფილებებმა დროულად გამოავლინონ დასაჯილდოებელი მრავალშვილიანი დედები, ხარისხიანად გააფორმონ მათი საქმეები და დაუგვიანებლად წარუდგინონ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განსახილველად.

2. უზრუნველყონ ჯილდოზე წარსადგენი მრავალშვილიანი დედების საქმეების დროულად განხილვა, მათი ზუსტი აღრიცხვა და წარმოდგენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

3. პერიოდულად ჩაატარონ სასოფლო საბჭოების მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეების, მდივნების და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილებათა მუშაკების თათბირები მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების საკითხზე, შეასწავლონ მათ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდიენოს 1951 წლის 24 იანვრის ინსტრუქცია მრავალშვილიანი დედებისჯილდოზე წარდგენის წესის შესახებ.

4. უზრუნველყონ დაჯილდოებულ მრავალშვილიანი დედებისათვის ორ დენებისა და მედლებით დროულად ჩაბარება და ჩაბარების ოქმების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში გადმოგზავნა არა უგვიანეს 5 დღის, დღიდან ჩაბარებისა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოებულთა აღრიცხვისა და რეგისტრაციის განყოფილებას 1954 წლის იანვრამდე შეამოწმოს საქალაქო და რაიონული მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებში ამ დადგენილების შესრულება და შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 17 ოქტომბერი.

122. ბრძანებულება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლოსაბჭოს და სოფლის სახელწოდებათა შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 31 ივლისის ბრძანებულებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს და სოფლის სახელწოდებათა შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 31 ივლისის ბრძანებულებაში შეტანილ იქნას ნაწილობრივი ცვლილება და ქვემოთ ჩამოთვლილ სოფლებს და სასოფლო საბჭოებს ეწოდოთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჩამჩირის რაიონში:

1. სოფელ აჭანდარას—სოფელი გუფ-აგუ, აჭანდარის სასოფლო საბჭოს—არასაძეხის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ გუფ-აგუში.

2. სოფელ დიდ აგარაკს სოფელი არაკიჩი, სოფელ პატარა აგარაკს—სოფელი აგარაკი, აგარაკის სასოფლო საბჭოს—არაკიჩის სასოფლო საბჭო, ცენტრით სოფელ არაკიჩში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 17 ოქტომბერი.

123. ბრძანებულება საქართველოს სსრ ქლუხორის რაიონის მაღაროს სადაბო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს მადნისხევის სასოფლო საბჭოს სოფელი მაღარო და შეიქმნას მაღაროს სადაბო საბჭო ცენტრით—დაბა მაღაროში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 17 ოქტომბერი.

124. ბრძანებულება საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის ლაითურის და ურეკის სადაბო საბჭოების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გამოეყოს საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის მერიის სასოფლო საბჭოს ლაითურის კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის, ჩაის ფაბრიკის და ნარუჯას ჩაის საბჭოთა მეურნეობის დასახლებული პუნქტები და შეიქმნას ამ დასახლებული პუნქტებისაგან ლაითურის სადაბო საბჭო ცენტრით—დაბა ლაითურში.

2. გამოეყოს საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის, სახელმწიფო სანერგისა და საქმაგნეტიტის ურეკის მაღაროს დასახლებული პუნქტები, ნატანების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო საბჭოს—ნატანების ჩაის საბჭოთა მეურნეობის დასახლებული პუნქტი და შეიქმნას ამ დასახლებულ პუნქტებისაგან ურეკის სადაბო საბჭო ცენტრით—დაბა ურეკში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 17 ოქტომბერი.

125. ბრძანებულება თბილისის სტალინის № 11 საარჩევნო ოლქში, თბილისის გარეუბნის კოჯრის № 58 საარჩევნო ოლქში, ბოლნისის რაიონის ბოლნისის № 116 საარჩევნო ოლქში, დუშეთის რაიონის დუშეთის № 130 საარჩევნო ოლქში, ლანჩხუთის რაიონის სუფსის № 248 საარჩევნო ოლქში, ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის ლენინის № 268 საარჩევნო ოლქში, ქ. ბათუმის № 325 საარჩევნო ოლქში და ბათუმის რაიონის აჭარისწყლის № 331 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატების ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დღის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99 მუხლის შესაბამისად ნაცვლად გასული დეპუტატებისა დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები თბილისის სტალინის № 11 საარჩევნო ოლქში, თბილისის გარეუბნის კოჯრის № 58 საარჩევნო ოლქში, ბოლნისის რაიონის ბოლნისის № 116 საარჩევნო ოლქში, დუშეთის რაიონის დუშეთის № 130 საარჩევნო ოლქში, ლანჩხუთის რაიონის სუფსის № 248 საარჩევნო ოლქში, ზუგდიდის რაიონის ზუგდიდის ლენინის № 268 საარჩევნო ოლქში, ქ. ბათუმის № 325 საარჩევნო ოლქში და ბათუმის რაიონის აჭარისწყლის № 331 საარჩევნო ოლქში 1953 წლის 29 ნოემბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე **დ. დავითაძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი.
1953 წ. 17 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწარმოებს ხელმოწერა

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე“ 1954 წლისათვის

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებს“ გამოსცემს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელშიაც იბეჭდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული კანონები, ბრძანებულებები და დადგენილებანი.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებების“ გამოცემა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენაზე (ერთ ბროშურად), წელიწადში არანაკლები 6 ნომრისა. **ხელმოწერის ფასი 10 მანეთი წელიწადში.**

ხელმოწერა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებზე“ ტარდება „სოიუზპეჩატის“ მიერ.

ОТКРЫТ ПРИЕМ ПОДПИСКИ

НА „ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР“ НА 1954 ГОД

„Ведомости Верховного Совета Грузинской ССР“ издаются Президиумом Верховного Совета Грузинской ССР, в котором печатаются Законы, Указы и постановления, принятые Верховным Советом и Президиумом Верховного Совета Грузинской ССР.

„Ведомости Верховного Совета Грузинской ССР“ издаются на грузинском и русском языках (в одной брошюре), выходят не реже 6 номеров в год, **подписная цена 10 рублей в год.**

Подписку на „Ведомости Верховного Совета Грузинской ССР“ производит „Союзпечать“.